ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7571262

ნომერი: AR11100509

თარიღი : 16.07.2025

გაცემის თარიღი : 29.07.2025

გაცნობის თარიღი : 16.08.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ლაზარიაშვილი პ/ნ 01026017338
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 31

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი ლაზარიაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "მონოლით გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405121158
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რაზი რზაევი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01991025859

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 7135369
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.07.2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ივლისის № 7135369 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ივლისის № 7135369 ბრძანებით შეთანხმებული იქნა ქ.თბილისში, (სექტორი - კრწანისი) ი. ცურტაველის ქ. N15-ში შპს „მონოლით გრუპ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.04.014.005), სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 18 ივლისიდან 2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

2025 წლის 16 ივლისის AR11100509 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ირაკლი ლაზარიაშვილმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2024 წლის 18 ივლისის № 7135369 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება.
სამსახურმა საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ივლისის № 7135369 ბრძანებაში კერძოდ: ჩანაწერი " მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 18 ივლისიდან 2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით", შეიცვალოს ჩანაწერით "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 29 ივლისიდან 2025 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით."
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ივლისის № 7135369 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.